კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #5

2016 წლის მაისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 31 მაისი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა, ინდიკატორით განსაზღვრული მიღწევები, სამობილიზაციო შეხვედრები, საზოგადოებაზე გავლენა, ცვლილებები

მაისში, ჩვეულებისამებრ, დატვირთული გრაფიკით გამოირჩეოდა ქუთაისის, ხონის, ფოთის, სენაკის, წყალტუბოს და ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა. ცენტრის მობილიზატორები მუდმივი თანამშრომლობის რეჟიმში არიან ბენეფიციარებთან. ყოველი ახალი სოციალური თუ ინდივიდუალური პრობლემის წარმოქმნისას იწყება აქტიურობა მათ მოსაგვარებლად, ამ პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობას აქტიურად იყენებენ და მუშაობა გრძელდება პრობლემის სრულ მოგვარებამდე.
ექვსივე ქალაქში ერთმანეთის მსგავსი პრობლემებია, ძირითადად - სოციალური ხასიათის: დასუფთავება, კანალიზაციის მოშლა, ეზოს გალამაზება, საბავშვო მოედნის მოწყობა...
კოლექტიურ ცენტრებში არსებული არასახარბიელო პირობები, სოციალური ფონი, უმუშევრობა, მიგრაცია, ახალგაზრდების დაუსაქმებლობა - ჩამონათვალიდან მობილიზატორები ცდილობენ, ისეთი საკითხები აიღონ ადვოკატირებისთვის, რომელთა მოგვარება ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია.
ადვოკატირების პროცესის შედეგები ამ თვეშიც დაფიქსირდა.
ფოთში, ახალ რაიონში საკანალიზაციო მილი გაიჭედა. მობილიზატორი მაშინვე ცხელ ხაზს დაუკავშირდა, რეაგირება ოპერატიულად მოხდა - სპეციალური ბრიგადა მოვიდა და საჭირო სამუშაოების შესრულების შემდეგ მდგომარეობა მოწესრიგდა.
ქუთაისში მობილიზატორს დახმარება სთხოვა ერთმა ქალბატონმა. მისი ოჯახი ცხოვრობს მუსიკალური სკოლა-ინტერნატის კოლექტიურ ცენტრში, ბოლო დამატებით სართულზე, რომლის დაშენებაც მოხდა ბინების რეაბილიტაციის დროს. ჭერი არის ძალიან დაბალი,

დასაწყისში ჰპირდებოდნენ, რომ მოხდებოდა ჭერის აწევა სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ არაფერი შეიცვალა.
პრობლემა გაანალიზდა ბენეფიციართან ერთად. მობილიზატორმა ის გადაამისამართა იურისტთან და შეეცდება, ადვოკატირების პროცესში აქტიურად ჩაერთოს.
გაიზარდა მომართვიანობა ინდივიდუალური პრობლემების მოგვარების მიზნით.
სენაკში მობილიზატორს დახმარებისთვის მიმართა დევნილმა ქალმა. როგორც გაირკვა, მას აღრიცხვაზე არ ჰყავს აყვანილი ახალშეძენილი ბავშვი და, შესაბამისად, არ იღებს დევნილთათვის დაწესებულ დახმარებას. უკვე მოწესრიგდა ყველა საბუთი და ქალბატონიც მიიღებს კუთვნილ თანხას.
არის შემთხვევები, როცა მოქალაქეებმა არ იციან, რა სახის დახმარებები არსებობს ადგილობრივ დონეზე.
სენაკში ერთ-ერთ ქალბატონს ჰყავს ავადმყოფი შვილი. ის არის მარტოხელა, სოციალურად დაუცველი და არ გააჩნდა თანხა წამლების შესაძენად. სწორედ მობილიზატორმა მიაწოდა მას ინფორმაცია, რომ წელიწადში ერთხელ უფლება აქვს, ისარგებლოს დახმარებით ადგილობრივი გამგეობიდან. წერილი მიეწოდა გამგეობის შესაბამის სამსახურს და მიიღო კუთვნილი დახმარება.
ყოველთვიური სამობილიზაციო შეხვედრები ექვსივე ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა. შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ბენეფიციარები საუბრობენ სხვადასხვა პრობლემაზე და ადგილზეც ხდება ამა თუ იმ საკითხის გადაჭრა. მაგალითად, ფოთში სამობილიზაციო შეხვედრაზე ერთ-ერთმა ბენეფიციარმა განაცხადა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს. მისი განმარტებით, რამდენიმე თვეა, ავად არის. სტატუსით სოციალურად დაუცველია, ადგილზე ვერ დაუდგინეს დიაგნოზი. თბილისში გამოკვლევის ჩასატარებელი ფული კი არ გააჩნია. ამბობს, რომ მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდება. მობილიზატორი მაშინვე დაუკავშირდა მერიის სოციალურ სამსახურს და აუხსნა მდგომარეობა. პასუხად აცნობეს, რომ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს ერთჯერადი დახმარებით. მან მერიას უკვე მიმართა და მიიღო დასტური, რომ გადაერიცხება გამოკვლევებისთვის საჭირო თანხა.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირების და პრობლემათა მოგვარების მიზნით

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრები დიდი ხანია გაცდა ინფორმაციის გაცვლის დონეს და თანამშრომლობა პრაქტიკულ საქმიანობაში გადაიზარდა. მაგალითად, ზუგდიდის გამგეობამ გამოაცხადა საგრანტო პროექტების კონკურსი. მასში ფონდი „სოხუმის“ ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრიც ჩაერთო, პროექტი ძალადობის პრევენციას გულისხმობს და თანამშრომლობა ამ ფორმით გაგრძელდება.
ფოთში მობილიზატორი მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენელს შეხვდა. ინფორმაციის გაცვლისას სოციალურმა სამსახურმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გადაამისამართა ბენეფიციარი, რომელიც საჭიროებს იურიდიულ კონსულტაციას. ქალბატონმა ისარგებლა ამ მომსახურებით. მას უკვე მზად აქვს სასამართლოსთვის საჭირო საბუთები, აიყვანა ადვოკატი და პროცესისთვის ემზადება.
მობილიზატორები ექვსივე ქალაქში დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, სხვადასხვა პროგრამის შესახებ მიიღეს კომპეტენტური ინფორმაციები და სამობილიზაციო შეხვედრების დროს გააცნეს ბენეფიციარებს.
სოფლად მცხოვრებ ქალებთან მუშაობა სულ უფრო მეტად რეზონანსული ხდება, რადგან სწორედ ბენეფიციარებიდან მოდის მსგავსი ტიპის შეხვედრების ჩატარების აუცილებლობა. მობილიზატორები აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის რწმუნებულებთან. მათი მხარდაჭერით მოხდა სამობილიზაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება შემდეგ

სოფლებში: თერნალი და ბანოჯა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ხორში და ახალსოფელი (სენაკის მუნიციპალიტეტი), კუხი და ივანდიდი (ხონის მუნიციპალიტეტი).
ქალთა მხარდაჭერის ცენტრებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობამ და სხვადასხვა დონის შეხვედრებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის გაცვლას და პრობლემების ადვოკატირებას.

მუშაობა კრიზისულ ოჯახებთან

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის მიზნით მობილიზატორები მუდმივად იღებენ ინფორმაციას და მონიტორინგს ატარებენ იმ ოჯახებში, რომლებიც კრიზისულად ითვლება - სადაც უკვე იყო კონფლიქტი, ან კონფლიქტური სიტუციაა.
ფოთში მობილიზატორებს ჰქონდათ ინფორმაცია ასეთ ოჯახზე და პერიოდულად ხდებოდა დაკვირვება. ერთ-ერთი ბენეფიციარი ქალაქიდან სოფელში გათხოვდა. ის ამბობდა, რომ მუდმივად ძალადობის მსხვერპლი იყო მულისა და დედამთილისგან. ქმრის შემოტანილ ფულს ისინი განაგებდნენ, მას არაფერი ეკითხებოდა. როცა ხმას იღებდა, მეუღლეს მის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ერთი წელი იცხოვრა მუდმივ კონფლიქტში. როცა ბავშვი შეეძინა, მეძუძურ ქალს ამუშავებდნენ ბოსტანში და ყანაში, არ აძლევდნენ ნორმალურ საკვებს. შედეგად, ძალიან დასუსტდა და ბავშვის მოვლა არ შეეძლო. კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა. იძულებული გახდა, ოჯახიდან წასულიყო. მაგრამ მასზე ისევ ახდენენ ზეწოლას მული და დედამთილი და ეუბნებიან, რომ ბავშვს წაართმევენ. მობილიზატორების რჩევით, მან იურისტთან და ფსიქოლოგთან გაიარა კონსულტაცია. ფსიქოლოგიური სტრესი მოეხსნა და ფიქრობს, საქმე სასამართლოს გზით გადაწყვიტოს.
სოფელ კოკში მამამ შვილს ისე ძლიერ სცემა, რომ მას დახმარება დასჭირდა. მეზობლებმა დიდი ხანია იციან ამ ოჯახის შესახებ. მათ ჩარიეს სოფლის გამგებელი, რომელმაც მამას განუმარტა, რომ მსგავსი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და შესაძლოა მას მშობლის ვალდებულება ჩამოართვან. ოჯახზე მონიტორინგი ისევ გრძელდება. ჯერჯერობით მშვიდი სიტუაციაა, განმეორების შემთხვევაში სხვა ზომებს მიმართავენ.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების დამოუკიდებლად მუშაობის გაგრძელების პერსპექტივა

საკუთარი პოტენციალის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, რომელიც ინდიკატორით არის განსაზღვრული, ფონდმა „სოხუმმა“ გასულ თვეს გამოაცხადა პროექტების კონკურსი. მასში ექვსივე ცენტრი აქტიურად ჩაერთო და მომზადდა სხვადასხვა მიმართულების პროექტები: მუშაობა ახალგაზრდებთან და სკოლებში ბულინგის თემაზე, თანამშრომლობა სოფლის საზოგადოებასთან და სოფლის გამგებლებთან, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა ახალგაზრდებში.
საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტები და ყველა პროექტი სიცოცხლისუნარიანად ცნო. გარკვეული დეტალების დაზუსტების შემდეგ ცენტრებს წარმოდგენილი იდეების განხორციელების საშუალება ექნებათ.

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა

როგორც პროექტის ინდიკატორებითაა განსაზღვრული, ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებისთვის პრიორიტეტულია. მობილიზატორები აკვირდებიან კონფლიქტურ ოჯახებს და ცდილობენ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე მოიწვიონ ქალები.
წყალტუბოში ცხოვრობს ერთი ქალი, სამი შვილი ჰყავს. მეუღლე ხშირად სვამს და ოჯახის წევრები მუდმივი შიშის ქვეშ არიან. მობილიზატორებს ინფორმაცია ოჯახის ახლობელმა მიაწოდა და სთხოვა, დახმარებოდნენ. მობილიზატორები დაუკავშირდნენ და მიიწვიეს

შეხვედრაზე, მაგრამ ის თავს იკავებდა მოუცლელობის მიზეზით. მაისში ქალბატონი თავად დაუკავშირდა მობილიზატორს და იკითხა, რა სახის დახმარება შეუძლიათ გაუწიონ ძალადობის მსხვერპლს. ინფორმაციის მიღების შემდეგ მან პირველად ისაუბრა ღიად. გაირკვა, რომ სურს თავისი ცხოვრების შეცვლა, მაგრამ ვერ ბედავს, რადგან არ იცის, როგორ გაუმკლავდეს წინააღმდეგობებს. ნათესავმა ქალმა შესთავაზა მას ერთ-ერთ სასტუმროში მუშაობა, რათა ჰქონდეს საკუთარი ფული, მაგრამ ქმარი არ აძლევს ამის უფლებას. არ იცის, როგორ მოიქცეს, არც ოჯახის დანგრევა სურს და არც სამუშაოს დაკარგვა.
მობილიზატორებმა საქმეში ჩარიეს ოჯახის ახლობელი. ის ესაუბრა ქალბატონის მეუღლეს და განუმარტა, რომ არასწორად იქცევა: ცოლი უნდა გაუშვას სამსახურში, რადგან ისიც შემოიტანს ფულს და ასეთ გასაჭირში არ იქნებიან. თავიდან არაფერი გამოვიდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ქმარმა თანხმობა მისცა ცოლს მუშაობის დაწყებაზე. ოჯახი ისევ კონტროლზეა. ქალბატონი ამბობს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა. როცა ცოლი სახლში არ არის, ქმარი არა თუ ანგრევს ყველაფერს, პირიქით, თვითონ დაიწყო საოჯახო საქმეების კეთება და ცოლსაც არ ეჩხუბება.
არის შემთხვევები, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალები რეკავენ მობილიზატორთან და სთხოვენ დახმარებას ოჯახური კონფლიქტების დარეგულირებაში. ასეთი ფაქტები ფიქსირდება სოფლებში, როცა ქალები ოჯახური კონფლიქტების მოგვარებას სთხოვენ მობილიზატორს და სოფლის ავტორიტეტულ პირს. ამ მეთოდს მობილიზატორები წარმატებით იყენებენ.
თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 6 ანკეტა. ერთმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრის ფსიქოლოგთან გაიარა კონსულტაციები. ერთი იურისტს შეხვდა და გაარკვია მისთვის საჭირო ინფორმაციები. დანარჩენ ქალბატონებთან მიმდინარეობს მუშაობა, რომ მათ ისარგებლონ ცენტრის საკონსულტაციო მომსახურებით.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

მაისში იურიდიული კონსულტაციები ქუთაისის, ხონის, ფოთის, სენაკის, წყალტუბოს და ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში მიეძღვნა სხვადასხვა თემას: ოჯახური კონფლიქტები, თავისუფალი ვაჭრობის კონვენცია ევროპის ქვეყნებისთვის, ნასყიდობის ხელშეკრულება, ქონების გაჩუქება და მასთან დაკავშირებული საკითხები.
გარდა ამისა იყო ინდივიდუალური კონსულტაციებიც.
წყალტუბოში დახმარება ითხოვა ქალბატონმა, რომელსაც ჰყავს 4 მცირეწლოვანი შვილი, ცხოვრობს უმძიმეს მდგომარეობაში და არ გააჩნია არანაირი საოჯახო ინვენტარი. ბავშვებს არა აქვთ წიგნები და რვეულები. იურისტის დახმარებით მომზადდა წერილი სხვადასხვა სტრუქტურაში, რომ ოჯახი ცნონ კრიზისულად, რის შემდეგადაც ოჯახი მიიღებს სასკოლო ინვენტარს და დახმარებას პროდუქტების სახით.
ფოთში იურისტთან კონსულტაციაზე იმყოფებოდა ახალგაზრდა ქალბატონი. როგორც გაირკვა, მისმა მეუღლემ ბანკიდან აიღო რამდენიმეწლიანი სესხი. სამი თვის შემდეგ კომპანია, სადაც მუშაობდა, დაიხურა და უმუშევრად დარჩენილი ოჯახი ვერ იხდის ბანკის პროცენტებს. იურისტმა ურჩია, განცხადებით მიმართოს ბანკს და მოითხოვოს ინდივიდუალური გრაფიკი, რათა შეძლოს დავალიანების გადახდა.
ქუთაისში იურისტს მიმართა ქალბატონმა, რომელსაც აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა გაჩუქებული ქონება უკან დაიბრუნოს მჩუქებელმა. იურისტმა განუმარტა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები, რის საფუძველზეც ქალბატონი ფიქრობს, დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება.
ასევე ქუთაისში იურისტს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. მისი აზრით, მას ეკუთვნის სოციალურად დაუცველის სტატუსი, რადგან ოჯახში არავინ მუშაობს და მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება. იურისტის რეკომენდაციით, მომზადდა წერილი და გაეგზავნა სოციალურ

სამსახურს, საიდანაც აცნობეს, რომ სოციალური აგენტი მივა სახლში, ხელახლა შეავსებენ ანკეტას, რის შემდეგაც ქულები მიენიჭებათ და სტატუსიც განისაზღვრება.
სენაკში იურისტის კონსულტაცია მიიღო ქალბატონმა, რომელსაც მეუღლესთან ჰქონდა ქონებრივი დავა. მას ჰყავს მეორე ცოლი, პირველ ცოლს კი პირდება ალიმენტის გადახდას და არ აძლევს ქონებიდან წილს. ქონება ქმრის სახელზეა, თუმცა შეძენილია თანაცხოვრების დროს. იურისტმა განუმარტა, რომ უნდა მიმართოს სასამართლოს, რადგან არის მაღალი შანსი იმისა, რომ დავა მის სასარგებლოდ გადაწყდება. ქალბატონი სასამართლოსთვის ემზადება, საბუთები უკვე მოამზადა და ადვოკატიც აიყვანა.

12 იურიდიული შეხვედრა შედგა ქუთაისში, კოლექტიურ ცენტრებში. განიხილეს, რას გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კანონი, რამაც მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

მაისში აქტიური მუშაობა ჩაატარა ფონდი „სოხუმის“ ორმა ფსიქოლოგმა.
წყალტუბოში, სოფელ კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი) და ფოთში შეხვედრების ძირითადი თემა იყო ფსიქოლოგიური ძალადობა. მიმოხილვის შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირებისთვის. ფოთში მცხოვრები ქალების პასუხებში ნაკლებად იგრძნობოდა სტერეოტიპული აზროვნება და მენტალიტეტის პრობლემა, რაც ხონსა და წყალტუბოში მკვეთრად გამოიხატა - ქალბატონებმა ფსიქოლოგიური ძალადობის მაინდეტიფიცირებელი გამოთქმები და ქმედებები „ნორმად“ აღიქვეს.
მონაწილეებმა საკუთარი თუ სხვისი ისტორიების მეშვეობით განიხილეს ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული მეთოდები და მათზე რეაგირების შედეგიანი ფორმები.
სენაკის, ქუთაისის, კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში კი გაიმართა ჯგუფური შეხვედრა და კონსულტაციები. საუბრის თემა იყო ოჯახური ურთიერთობების მოდელი, შიდა ოჯახური კომუნიკაციის ჩამოყალიბება - პირველ რიგში, ურთიერთობების დამყარება მეუღლეებს შორის. თემა საინტერესო აღმოჩნდა დამსწრეთათვის. მათ უამრავი მაგალითი მოიყვანეს და მიიღეს სასარგებლო რჩევები. ფსიქოლოგმა განუმარტა მათ, რამდენად მნიშვნელოვანია ჰარმონიული ურთიერთობებისთვის ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა.
ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში თვის განმავლობაში გაიმართა 12 ჯგუფური შეხვედრა. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაციები, როგორ მოქმედებს სტრესი ოჯახურ ურთიერთობებზე, როგორი შედეგები აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ხშირად არ ჩანს და როგორ უნდა მოიქცნენ რთულ სიტუაციებში.

<u>ისტორია 1</u>
ფსიქოლოგს მიაკითხა ქალბატონმა, რომელსაც პრობლემები აქვს საკუთარ ვაჟთან და არ იცის, როგორ გადაწყვიტოს. გიორგი 24 წლისაა, აქამდე ყველაფერში დედას უჯერებდა და მის აზრს ითვალისწინებდა. ახლა კი ისე გაუუცხოვდა ოჯახის წევრებს, რომ თითქმის არავისთან არ საუბრობს. პრობლემა ის არის, რომ გიორგის ჰყავს შეყვარებული და უნდა მისი ცოლად შერთვა. მშობლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან, მათი შეხედულებით, გოგო არც ფიზიკურად არის მისი შესაფერისი, არც განათლება აქვს და თან - ძალიან ღარიბი ოჯახიდან არის.
გიორგის არაფრის გაგონება არ უნდა. განაცხადა, რომ არასოდეს ცოლს არ შეირთავს და ამის მერე ამ თემაზე არ საუბრობს. გვიან მოდის, ადრე მიდის სახლიდან და არავის ეკონტაქტება. მშობლებმა არაერთხელ სცადეს მასთან საუბარი, მაგრამ პასუხად გაღიზიანებული პასუხობს, ყვირის და სახლიდან გარბის.
ფსიქოლოგმა დედას ურჩია, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია, შვილის არჩევანს შეეგუოს, რადგან ნებისმიერი ფორმით წინააღმდეგობის გაწევა მასთან დააშორებს. ქალბატონი ამბობს, რომ

შვილს ნება დართო, დაქორწინდეს ამ გოგოზე, მაგრამ შინაგანად უჭირს ამასთან შეგუება და რეაბილიტაციას ფსიქოლოგთან გადის.

<u>ისტორია 2</u>

სოფიას ისტორია ფსიქოლოგისთვის არ ყოფილა ახალი. მისი ემოციაც ბუნებრივი იყო. თავიდან უჭირდა საუბარი. არ იცოდა, როგორ დაეწყო, ამბავს ყვებოდა ფრაგმენტებად. მისი ნაამბობიდან გაირკვა, რომ სოფიოს ქმარს საყვარელი ჰყავდა. ბევრი ეცადა, მაგრამ მეუღლესთან ურთიერთობა ვერ ააწყო. ქმარი არ მალავს ამ ამბავს. სოფიომ არ იცის, რა ქნას, შეურაცხყოფილია და და შურისძიებაზე ფიქრობს. ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ მან მიიღო რჩევა, რომ უნდა დამშვიდდეს, გააანალიზოს სიტუაცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. მეორე შეხვედრის შემდეგ ის უფრო დამშვიდებული ჩანდა. განაცხადა, რომ მზად არის, მეუღლეს ამ თემაზე ღიად ესაუბროს, თუ მას არ სურს მასთან ცხოვრება, განქორწინებისთვის მოემზადება. ამბობს, რომ გაღიზიანებული არ არის, გადაწყვეტილებასაც მშვიდად იღებს, რადგან უკვე იცის, რისი მიღწევა სურს.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქუთაისსა და სენაკში პედაგოგებთან. გამოიკვეთა, რომ მათთვის პრობლემა აქტუალურია და მიაჩნიათ, რომ სასკოლო განათლების სისტემაში უფრო კარგად უნდა იყოს ასახული ამ მიმართულებით მოსწავლეთა ინფორმირება.
ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტები იყვნენ ქუთაისის ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი და არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ იურისტი. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კანონზე ინფორმაციას ნაკლებად ფლობენ და ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს, რადგან ეს სამსახურები ექსპერტებად მოიაზრებიან, რაც მათ ინფორმირებულობაზე არ აისახება.

ახალგაზრდული კლუბების მუშაობა

წყალტუბოში, სენაკსა და ფოთში ახალგაზრდული კლუბის შეხვედრები მიეძღვნა აქტუალურ თემას - ეთიკისა და ესთეტიკის ნორმები, სქესობრივი აღზრდა და პიროვნული კულტურის ფორმირება - როგორც ინსტრუმენტი ძალადობის პრევენციისთვის.
ახალგაზრდები ინტერესით უსმენდნენ ფონდი „სოხუმის“ ასისტენტს, ერთმანეთს და ასე ეძებდნენ პასუხებს შეკითხვებზე, სიმართლეს, პრობლემების მოგვარების გზებს.
ხონში, კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ქუთაისში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები მიეძღვნა თემას - გენდერული ძალადობის მიზეზები და დაცვითი მექანიზმები.
ახალგაზრდულმა კლუბებმა საკუთარი ინიციატივით დამატებითი აქტივობებიც გამართეს. ქუთაისში კლუბის წევრებმა ღონისძიება „ოჯახის დღეს“ მიუძღვნეს. ევროპის დღე აღნიშნეს ქუთაისის 23-ე და 30-ე სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც კლუბის წევრებიც არიან.
წყალტუბოში კლუბის წევრებმა დედამიწის დღესთან დაკავშირებით ცენტრალურ პარკში დასუფთავების აქცია მოაწყვეს. სენაკში ახლგაზრდებმა „დემოკრატიულ ლაბორატორიაში“ პროექტების წერაში მიიღეს მონაწილეობა.
კლუბის წევრები ცდილობენ, საკუთარი ინიციატივები სკოლებში, თანატოლებთან დაგეგმონ და მათი აქტიურობა ფართოდ გაიშალოს.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები გაიმართა ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში და წყალტუბოს დევნილთა დასახლებაში. აღინიშნა, რომ ფორუმ-თეატრი ცვლის ადამიანის

ცნობიერებას, ბევრ რამეზე დააფიქრებს და მაყურებელთა უმეტესობა ეცდება, სხვანაირად მოიქცეს. მონაწილეთა აზრით, ამ ფორმატით ძალადობის ჩვენება ეფექტურად მოქმედებს.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში და განხილული თემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიის თემაზე ჩატარდა ქუთაისში, წყალტუბოში, კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი), სენაკში, ფოთში და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).
თემა საკმაოდ აქტუალური იყო - მიგრაცია. მონაწილეთა აზრით, ძალადობა ასოციაციას იწვევს ქალთა მიგრაციასთან, რადგან საქართველოში, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველი მეათე ქალი ამ ტიპის ძალადობის პოტენციური მსხვერპლია.
ითქვა, რომ საკითხი ყველასთვის მტკივნეულია, გამოსავალი ძალიან რთულია, რადგან მიზეზების გადაწყვეტა უახლოეს დროში შეუძლებელია. ამიტომ ქალს, პირველ რიგში, ოჯახის წევრების მხარდაჭერა სჭირდება, რათა თავიდან იქნას აცილებული ის ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც გაუცხოებას ახლავს. მონაწილეების აზრით, სახელმწიფო პასუხისმგებლობა უნდა გაიზარდოს, ქალებს მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ დასაქმების კუთხით, რათა ამ პრობლემის პრევენცია მოხდეს.
სოფელ კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი) ჩატარებულ ვორკშოპზე დაინტერესება მაღალი იყო. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოფელში ოჯახური კონფლიქტები ხშირია, თუმცა ნაკლებად არის ამაზე საუბარი. იმავე შეხვედრაზე ქალებმა გადაწყვიტეს, ჩაერიონ ერთ-ერთი ქალის საქმეში, რომელიც ძალადობის მსხვერპლია ქმრისგან. ქალებმა დაგეგმეს, ჯერ ამ ქალბატონს შეხვდნენ და შემდეგ მედიატორად ჩართონ სოფლის გამგეობის წარმომადგენელი, რომელიც მამაკაცთან უფრო ეფექტურად აწარმოებს მოლაპარაკებას.

მაისში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 87 ღონისძიება.

33 სამობილიზაციო შეხვედრა
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი